სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №2

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 7 აგვისტოს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 11:30 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ირაკლი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიგა წურწუმია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლევანი ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - კაპიტონი ტორჩინავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - შაქრო კოკაია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელიზბარი ოდიშარია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ყურაშვილი; საკრებულოს წევრები: ირაკლი ცხვიტავა; ბადრი შარტავა; მარინე ნანეიშვილი; სულხანი ხუნწარია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: სოსო მორგოშია. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ლ. თულაძე, აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

მოისმინეს: 1. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე- საბა ოდიშარია

2. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

3. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან(აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია|"

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 18; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 07 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე- საბა ოდიშარია

2. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

3. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან(აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია|"

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 2. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ".

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 18; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

2. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით გამოყოფილ იქნეს ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩის №237–ში მდებარე შენობა-ნაგებობა (ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე–ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობა).

4. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე:

ა) სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას;

ბ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა).

5. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

6. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას.

7. დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.

8. ეს განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

ბ) გამოიკრას სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს ვებგვერდზე: წწწ.სენაკი.გოვ.გე.

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 03 სექტემბრის განკარგულება.

10. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 3. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია|“

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ"

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 18; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1

აკრძალულია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის/საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე (სასაფლაოს ტერიტორია, ეკლესია და სხვა), კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთის, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, ასევე, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, რკინიგზის სადგურის, სამხატვრო გალერეის, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის, სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის, სასწავლო და სკოლამდელი დაწესებულებების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების შენობათა ფასადებზე.

მუხლი 2

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია საარჩევნო პლაკატების საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

მუხლი 3

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად განთავსდეს სპეციალური სტენდები შემდეგ ადგილებზე: შოთა რუსთაველის ქუჩაზე, №112 შენობის მიმდებარედ; მშვიდობის ქუჩაზე ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ; შოთა რუსთაველის ქუჩაზე სპორტსკოლის წინ; შოთა რუსთაველის ქუჩაზე, ახალგაზრდობის ხეივანთან; შოთა რუსთაველის ქუჩაზე, 9 აპრილის პარკთან და ილია ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე; შოთა რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთაზე; რკინიგზის სადგურის მოედნის ტერიტორიაზე.

მუხლი 4

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს 2 ცალი საარჩევნო პლაკატი, ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (2 ფორმატი).

მუხლი 5

საარჩევნო პლაკატები ასევე შეიძლება განთავსდეს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე გარე განათების ბოძებზე, მგზავრთა მოსაცდელებზე და საამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე.

მუხლი 6

ამ დადგენილების პირველი, მე-2 და მე-3 მუხლების გათვალისწინებით, საარჩევნო პლაკატის გაკვრა დასაშვებია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა შენობა-ნაგებობაზე და სხვა ობიექტზე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით.

მუხლი 7

გამოყოფილი ადგილი და განთავსების პირობები ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარია.

მუხლი 8

შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

მუხლი 9

ამ დადგენილების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 სექტემბრის №45 დადგენილება.

მუხლი 11

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია